ჩემპიონატი

“ლოკომოტივი” – “დინამო”

31 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ: **მოსკოვის “ლოკომოტივისა” და თბილისის “დინამოს”** გუნდები.

მიუხედავად დაძაბული ბრძოლისა, ვერც ერთმა გუნდმა შეჯიბრების პირველ ნახევარში ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას. ტაიმი დამთავრდა ფრედ – 1:1.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა შეჯიბრების მეორე ნახევარიც. თბილისის დინამოელებმა ვერ შესძლეს რევანშის აღება. შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 2:2.

ამ მატჩში თბილისის “დინამოს” როგორც ნახევარდამცველებმა, ისე თავდამსხმელებმა შედარებით სუსტი თამაში გამოამჟღავნეს. განსაკუთრებით სუსტი იყვნენ ჭელიძე, ფროლოვი, ჯორბენაძე, ბერეჟნოი და ბერძენიშვილი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1 სექტემბერი, 1940 წ.